№ 264
დეკემბრის 10, სამშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 264
დეკემბრის 10, სამშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1-ლ დეკემბრიდგან წლის დამლევამდე გაზეთი «ივერია» ღირს 1 მან. 50 კაპეიკად.

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☛ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☚

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის'' რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების საავენტოში, და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი ფერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 15 დეკემბერს, დილის 12 საათზე ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია ქართულ **დრამატიულ საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება**.

განსახილველი საგნები:

1) წარსულის წლის ანგარიში.
2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1902—3 წლისა.
3) მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ.
4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა.
5) მოხსენება შესახებ ქართულის წარმოდგენების მართვისა პროვინციებში.
6) მოხსენება შესახებ დრამატიულ კურსების დაარსებისა.
7) მოხსენება შესახებ დასის მთელის წლით შენახვისა.
8) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

---

21 დეკემბერს არტისტიულ საკონცერტო ზალაში გაიმართება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

საღამო,

რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას: ბბ. ნიკოლაევი, (არტისტი), პალიჯკა (ვიოლონჩელისტი), ვილშაუ (მესკრიპკე), ბროდერმეტინი (მომღერალი), ქ. ბაბაევისა, ბ. აკაკი წერეთელი, ვ. ბალანჩივაძე და ქართული ხორო (ქალებისა და კაცებისა) ბ-ნი ფალიაშვილის ლოტბარობით.

ბილეთები იყიდება ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგად. კანცელარიაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა).

კონცერტის შემდეგ გაიმართება ქართულ-ევროპიული **ც ეკვა**

(5—6.—4)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

ე ქ ი მ ი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ე ვ რ ო პ ი ე ლ ი ქ ა ლ ი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

ბ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი „კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-

(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგან.: 9—10.

ბ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ბრ. ვ. სოგოლევსკი—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ბ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

№ 22. ტელეფონი № 617.

საბენეფისო წარმოდგენა

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 12 დეკემბერს, 1902 წ.

ვ. ა. აბაშიძის საბენეფისოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება

ქ-ნი **ფასო აბაშიძისა და ბ-ნ ი. კარგარეთელის** მონაწილეობით

I

მუზმუზელა

(ტ ა რ ტ ი უ ფ ი)

კომ. 5 მოქ. მოლიერისა, თარგ. ივ. მაჭავარიანისა.

II

მეჯლისი იტალიელებით

ოპერეტა 1 მოქ. მუზიკა ოფენბახისა თარგ. ვ. აბაშიძის მიერ.

ორკესტრი **ნ. გ. ქართველიშვილის** ლოტბარობით.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გამყრელიძე, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, რკინელი და სხვანი.

ადგილების ფასი საბენეფისოა.

შეგირდებისათვის (ვინც ფორმაშია) ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „გრიგალი“, „სიძე-სიმამრი“, „აწინდელი ოჯახი“. „მიკუნჭული ბედნიერება“ და სხვ.

თეატრის გამგეობა უმორჩილესადა სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

მთავრობის განკარგულებანი

დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა ებოძა აბასთუმნის სამხედრო საავადმყოფოს უფროსს ექიმს გოპაძეს.

წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენი ებოძა მთავარ-მართებლის საგანგებო მინდობილობათა მოხელეს თ. გრუზინსკის.

წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენი ებოძათ ტფილისის პოლიცმეისტერის თანაშემწეს თ. სიდამონ-ერისთავს და ლეჩხუმის მაზრის უფროსის თანაშემწეს ბაქრაძეს.

წმ. ანნას მე-2 ხარისხის ორდენი ებოძა: ქებაძეს.

წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენი ებოძათ ა. არდაზიანს და მღვ. ი. ლიაძეს.

ტფილისი

✦ გუშინ, 8 დეკემბერს, საეკკლესიო მუზეუმი დაათვალიერა არაგვის ერისთავის სახლობამ დიდად პატივცემულ კნეინა ანნას, ქსნის ერისთვის იოანნეს ასულის, მოთაოსობით. კნეინა ანნამ გასინჯა მუზეუმის ძველი და წმინდა ნივთები, სასოებით ემთხვია წმ. ნაწილებიანს ხატებს, წიგნებს, დავით დიდის კურატპალატის († 1001 წ.) ჯვარს, წაიკითხა ზოგიერთი ძველის-ძველი, მე-IX—X საუკუნეს გადაწერილი, წიგნები და მუზეუმს შემოსწირა ორი ხელნაწერი—დავითნი მე-XIV საუკუნისა და ტყავზედ ნაწერი სვინაქსარი. დამსწრენი გააკვირვა კნეინა ანნას მრავალგვარმა ცოდნამ. პატივცემულ თავადის იოანნეს ასულს ანნას ზედმიწევნით სცოდნია ქართული ძველი ქსოვა-კერვის ხელოვნება, ყოველგვარ ხუცურის კითხვა, ქორონიკონ—კვინკლოსის გამოთვლა, ქართული ძველი მწერლობა. ამგვარი დედები მრავალი იყო ჩვენში ამ 40—60 წლის წინადაც და ახლა-კი მათი რიცხვი ფრიად შემცირდა, თითით საჩვენებელი შეიქმნა ძველი დედა, ქართველი დედა.

კნეინა ანნას ჰქონია ბევრი ძველი ხელნაწერები.

✦ გუშინ, 9 დეკემბერს, ტფილისის გიმნასტიურმა საზოგადოებამ იდღესასწაულა თვისის დაარსების შემდეგ ორის წლის შესრულება. 8 დეკემბერს, ვარჯიშობის შემდეგ, ნაშუადღევის 1-ლ საათზედ, ერთმა მასწავლებელთაგანმა სიტყვა წარმოსთქვა და აუხსნა დამსწრეთ ის გაჭირვება, რომელიც გამოიარა ამ საზოგადოებამ წესდების დამტკიცებამდის და დამტკიცების შემდეგ აქნობამდის. მისის სიტყვით, ახლა-კი საზოგადოებამ საწადელს მიაღწია: ჩვენს საზოგადოებაში მონაწილეობას 100 კაცამდის იღებსო. ამ საზოგადოების დამაარსებელნი ჩეხნი არიან; სხვათა შორის, ქართველთა მცირე რიცხვიც იღებს მონაწილეობას.

✦ დღეს, საღამოს 8 საათზედ, დანიშნულია კავკ. სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება. კრება განიხილავს თ. ვლ. მიქელაძის მოხსენებას: „О мелкомъ земельномъ кредитѣ“. არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ კრებას.

✦ როგორც გვიმოგვცეს, შვილის შვილები დ. ივ. ყიფიანისა ბარბარე და ნინო შესულან ბრიუსელის უნივერსიტეტში, ერთი საექიმო და მეორე—იურიდიულ ფაკულტეტზე.

✦ 8-ს დეკემბერს მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართა სამუსიკო-დრამატიული საღამო ტფილისის კლუბში. ხალხი საკმაოდ შეიკრიბა, თუმცა 160 მანეთის ბილეთი გაუსყიდველი დარჩა; ნაღდი მოგება საზოგადოებას 400 მანეთამდე დარჩება, როგორც შარშან. რაც შეეხება თვით საღამოს, დამსწრენი დიდად მადლობელნი დარჩნენ. იაჩკოვის ლოტბარობით მუსიკის მოყვარულთა ხორომ მშვენივრად სთქვა ფრანგული, ნეაპოლური და ხორვატული სიმღერები. ბ-ნმა სტეპგერმა ვიოლონჩელზე და ციტრაზე საგანგებოდ დაუკრა და მსმენელებს ისე მოეწონათ, რომ გაამეორებინეს.

ბოლოს წარმოდგენილი იყო მეტად კარგი ერთ მოქმედებიანი კომედია ბილიბინისა—„სიჩუმე“.

საღამოს დაესწრნენ, სხვათა შორის, ტფილისის გუბერნატორი, საერო განათლების მზრუნველი ბ-ნი ზავადსკი და სხვანი. საღამო გათავდა ღამის 12-ს საათზე.

✦ თელავიდგან გვწერენ, რომ 30-ს ნოემბერს იქ მომხდარა თელავის მაზრის თავადაზნაურთა და მემამულეთა კრება განსახილველად სხვა-და-სხვა სამეურნეო საქმეთა და მეურნეობის საჭიროებათა გამოსარკვევად. ანგარიშს ამ კრებისას ამ დღეებში დავბეჭდავთ.

✦ ამას წინად ჩვენ გვქონდა მოხსენებული, რომ ქალ. ფოთის და მოიჯარადრის ბ-ნ დეხუნდენჩიცის საქმე პალატაში ირჩევა და განაჩენის გამოცხადება გადადებულ იქმნა 7 დეკემბრისათვისაო. ამ დღეს გამოაცხადეს განაჩენი, რომლის ძალითაც ქალაქის საკასაციო საჩივარი უყურადღებოდ იქმნა დატოვებული.

✦ ჩვენ ვნახეთ ბ. პ. მირიანაშვილის შედგენილი წიგნი „**Практическій курсъ грузинскаго языка**“, რომლის ბეჭდვას ამ დღეებში კიდეც შეუდგებიან.

✦ იმპერატრიცის მარიამ ალექსანდრეს ასულის უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო გვთხოვს დავბეჭდოთ: 1902 წ. ნოემბერს განყოფილების კასაში იყო 15,843 მ. 69 კ., ნოემბრის განმავლობაში შემოვიდა 349 მ. 16 კაპ., სულ შესდგა 16192 მ. 85 კაპ. ამავ თვეში დაიხარჯა 1165 მ. 35 კაპ. 1 დეკემბრისათვის დარჩა 15027 მ. 50 კაპ.

განყოფილების საავადმყოფოში ნოემბერს ახალი ავადმყოფი მივიდა 411 და სულ ძველი ავადმყოფებიანათ გაისინჯა 4089. ამ ხნის განმავლობაში ოპერაცია გაუკეთეს 7 ავადმყოფს. ამათში 24 საავადმყოფოში მყოფი, 49 სახლიდან მოსიარულეთ.

✦ 22 ნოემბერს ტფილისის კრუჟოკმა ბრმათა სამზრუნველოს გარდასცა 100 მანეთი.

✦ გუშინწინ დანიშნული კავკასიის ფარმაცევტთა სავაჭრო ამხანაგობის კრება არ შესდგა, რადგანაც კრებაზედ კანონიერი რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა; კრება გადაიდო 15 დეკემბრისათვის.

✦ ამ კვირია დანიშნულია ფარმაცევტთა სავაჭრო ამხანაგობის წევრთა კერძო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს ამხანაგობის ვაჭრობის მდგომარეობა.

✦ ქალაქის გამგეობამ ამოირჩია ახალი კომისია, რომელსაც დაავალა საჰიდრავლიკო სტანციის საქმის გამოკვლევა; ამ კომისიამ, განიხილა-რა ეს საგანი, სცნო ქალაქისთვის ფრიად ხელსაყრელად და ამასთანავე შეუდგა იმის გამოკვლევასაც, თუ ტფილისში ზოგიერთა სახლის პატრონს როგორ დაუჯდება ელექტრონის განათება; ამისთვის ზემოხსენებულმა კომისიამ მიმართა არტისტიულ საზოგადოებას, ტფილისის კლუბს და სხვა.

✦ ოთხშაბათს, 11 დეკემბერს, სათავადაზნაურო თეატრში დაიწყებს მოქმედებას რუსული ოპერა. წარმოდგენილი იქნება 4 მოქმედებიანი ოპ. „რუსალკა“ მუსიკა დარგომიჟსკისა.

✦ ხუთშაბათს, 12 დეკემბერს, ქართულ თეატრში, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან, ჩვენი ნიჭიერის მსახიობის ვასილ აბაშიძის საბენეფისოდ, წარმოდგენილი იქნება მოლიერის 5 მოქმედებიანი კომედია „ტარტიუფი“; წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი ანასტასია აბაშიძე.

✦ ქალაქის გამგეობამ შეატყობინა ქალაქის მეორე ღამის თავშესაფარის ზედამხედველს, რომ ამ თავშესაფარში მყოფთ დღეიდგინ ეძლეოდეთ უფასოდ პური, ჩაი და შაქარიო.

✦ როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, კ. მ. ალიხანოვს, ტფილისის საკომერციო ბანკის გამგეს, რომელსაც ქალაქის მოურაობის კანდიდატად ასახელებდნენ, უარი განუცხადებია.

✦ ამ კვირია ქალაქის გამგეობა ავლაბარში გახსნის მესამე ხორცის დუქანსა. სახლი ამ დუქნისათვის უკვე მზად არის.

✦ დღეს, საღამოს 8 საათზედ, დანიშნულია კავკასიის საუცხოვო ხელოვნებათა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა კრება; კრების საქმეებია: 1) ამორჩევა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტისა; ორის უფროსის წევრისა, ხაზინადარისა და მდივნისა და 2) საზოგადოების მიმდინარე წლის ანგარიშების განხილვა; კრებას თავმჯდომარეობს კავკასიის მთავარ მართებლის თანაშემწე ბ-ნი ფრეზე.

✦ გუშინ სათავად-აზნაურო თეატრში დანიშნული იყო იმ სხვა-და-სხვა ხელოსანთა წარმომადგენლების კრება, რომელთაც განზრახვა აქვთ შეადგინონ სხვა-და-სხვა არტელი და იმუშაონ არტელების პირობების ძალით; კრებამ ამოირჩია თავმჯდომარე. შემდეგში კრება შეუდგება არტელთა შედგენას და მის აღნიშვნას, რამდენი წევრი ეყოლება თითო არტელს; კრებაზედვე შეადგენენ თხოვნას მთავრობის წინაშე წარსადგენად წესდების დასამტკიცებლად. ახლად შეძდგარ არტელებს განზრახვა აქვთ გამართონ თავიანთი სავაჭრო, სავაჭრო-საეკონომიო ტიპისა, რომლის მონაწილეც შეიქნება ყველა არტელში მყოფი და ნება ექნება თვის-თვეობაძღვით სხვა-და-სხვა სანოვაგე და საზრდო წაიღოს საერთო სავაჭრო დუქნიდგან.

✦ როგორც ქალაქის სასაკლაოს ანგარიშებიდგან სჩანს, ნოემბრის განმავლობაში სასაკლაოში დაუხოციათ მსხვილ-ფეხი 6842 სული, ხბო—506 სული, ღორი 4826 სული, ცხვარი—16583 სული და ცხენი 2 სული. სასაკლაოს გამგეობას არ მიუცია ნება დაეკლათ: 1 ძროხა, 2 ხარი და ერთიც კამეჩი.

✦ გუშინ ქალაქის გამგეობამ ქალაქის სასაკლაოების ნოემბრის ანგარიში წარუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საიმპერიო საბეითალო მმართველობას.

✦ ტფილისის სახაზინო თეატრში ბუფეტის პატრონმა ბ-ნმა ჩიკვაიძემ მიართვა არზა ქალაქის გამგეობას და სთხოვა ამ წლის სტრაქტირო გადასახადი ეპატიებინათ, რადგანაც ბუფეტი არ ჰმოქმედობსო; ქალაქის გამგეობამ შეიწყნარა ჩიკვაიძის თხოვნა და დაადგინა ამ წლის გადასახადის ნახევარი ეპატიოსთ.

✦ ქალაქის გამგეობამ განიხილა რა ქალაქის ქუჩების განათების აგენტის თხოვნა, შემწეობის შესახებ, დაადგინა ეცნობოს აგენტს, რომ ქალაქის გამგეობამ მის მიერ დასახელებული მიზეზები, რომლის გამოც ვითომ მოუვიდა მეტი ხარჯი განათებაზედ, საკმარის სარწმუნო საბუთებად ვერ იცნო და ამიტომ უარი ეთქვას და სავალდებულოდ გაიხადოს, რომ დღეის იქით იგი უნდა ხელმძღვანელობდეს ქალაქის განათების ხარჯთ-აღრიცხვითო.

არხეოლოგიური საზოგადოების კრება. გუშინ, 8 დეკემბერს, შესდგა აქაურ არხეოლოგიურ საზოგადოების, კრება ლ. გ. ლოპატინსკის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო 20-მდე წევრი. თავმჯდომარემ ლ. გ. ლოპატინსკიმ გააცნო დამსწრეთ ცნობები შესახებ თავისს მოხსენებისა, რომელიც ამ წლის ზაფხულს წაეკითხა ხარკოვის საარხეოლოგიო კრებაზედ. კავკასიის ენების შესწავლას ლოპატინსკისთვის მიუცია მასალა ამ ენების შედარებისათვის რუსულ ენასთან. იგი ამტკიცებს, რომ რუსული გვარების დაბოლოება „скій“ წარმომდგარა ქართულის ენის მეგრულ კილოის სქუა-დგანთ (სქუა—შვილი), აგრეთვე კო-სა და ჩი-ს ბინაც კავკასია ყოფილაო.

ე. ს. თაყაიშვილმა წარუდგინა დამსწრეთ საყურადღებო ცნობები შესახებ მცხეთის ახლოს აღმოჩენილ საფლავების სიძველეთა—ფულებისა, ქინძისთავებისა და სხ. მომხსენებლის აზრით, ეს საფლავები უნდა ეკუთვნოდნენ 1-ლის საქრისტიანო საუკუნეს.

ვ. ე. ვასილიევმა მსმენელთ გააცნო თავისს მოგზაურობის ამბავი ზაქათლის მაზრაში. ვასილიევი და სტანიშევსკი წლეულს ზაფხულს გამგზავრებულან ხსენებულს მაზრაში, უნახავთ 33 ნაშთი ძველის ძველ ტაძრების, გადმოუღიათ მათი სურათები, უპოვნიათ სამგან ქართული წარწერანი, ქვები და ყოველივე ნახულ-გაგონილი აუწერიათ. ვასილიევის სიტყვით, საინგილოში კიდევ დაშთენილა ბევრი ტაძრი, რომელიც ვერ უნახავთ უგზო-უკვლოობისა გამო. მათ მიერ გადმოხატულ წარწერების წაკითხვა მიენდო ე. ს. თაყაიშვილს. ბახთალოს ტაძრის წარწერა ძველის-ძველ ასომთავრულით არის გამოყვანილი.

ბ-ნმა შულგინმა წაიკითხა მოხსენება შამილის შესახებ.

ყველა ეს მოხსენებანი დამსწრეთ ყურადღებით მოისმინეს. მოხსენებანი დაიბეჭდება საზოგადოების გამოცემაში. კრება დაიშალა ნაშუადღევის 3-ს საათზედ.

ჩვენებური ამბები

სვირი (ქუთ. მაზრა). ჩვენმა დიდმა საზოგადოებამ ძლივს დაიარსა საკუთარი აფთიაქი, რომელიც ჩააბარეს დ. ჯულელს. ახლა მაინც გვეშველება და განვთავისუფლდებით წამლებისათვის ქუთაისში მისვლა-მოსვლის ხარჯისაგან.

ვ.

საგურამო (დუშეთის მაზრა). პირველს დეკემბერს, თუმცა საშინელი დარი იყო—თოვდა და თან ქარიც ჰქროდა, მაგრამ მაინც დიდძალ გლეხობას მოეყარა თავი სოფლის კანცელარიაში. ამ ერიდობის მიზეზი-კი ის იყო, რომ ამ დღეს აქ უნდა მოსულიყო მცხეთის ბოქაული და ადგილობრივ გამოეძიებინა ჭოპორტის საზოგადოების მამასახლისის „საქმენი საგმირონი“... ეხლანდელი მამასახლისი ივ. ინაშვილი, სამი წელიწადი მამასახლისობდა ამ საზოგადოებაში. გლეხობა არ ემადლიერებოდა თავისს მამასახლისს და გამოცვლასაც უპირებდა, მაგრამ, მათდა უნებურად წელს იგივე იქმნა არჩეული მამასახლისად. ბევრი ძალიან უკმაყოფილო დარჩა ამ არჩევანით, მაგრამ თავიანთი უკმაყოფილება ლაპარაკით გაათავეს, ხოლო ერთმა გლეხთაგანმა—გ. გიგაურმა მიართვა გუბერნატორს არზა, რომელშიაც დაწვრილებით აღნუსხა—რამდენი ფოსტის თუ მაღაზიის ფული გადუყლაპავს ხელმეორედ ამორჩეულს და დასამტკიცებლად გამზადებულს მამასახლისს და ითხოვა გამოძიება დაენიშნა. აი ამ ამბის მესამოწმებლად მოვიდა ბოქაული ს. არაშენდას.

გარეშე პირების თანდასწრებით ბოქაულმა დაიწყო გამოძიება. ბოქაულს დაებარებინა ხარჯის მკრეფავები იმ სოფლებისა, რომელთა ფულის გაფლანგვას ბრალად სდებდა მამასახლისს ბ-ნი გიგაური. ხარჯის მკრეფავთა და ხაზინაში შეტანილი ფულის ბარათების შედარებამ დაარწმუნა ყველანი, რომ მაღაზიის ფულებს ძალიან ბლომად აკლდა, მაგრამ ბოქაულმა განმარტა, რომ მამასახლისს შეეძლო მაღაზიის ფულებიდან თავისი ჯამაგირი აეღო, რადგანაც მამასახლისისათვის სოფლელებს თავ-თავის გადაზე არ უძლევიათ. და ეს ჯერ გაფლანგვა არ არისო. შემდეგ დაუძახეს გ. გიგაურს. ბოქაულმა უთხრა, რომ იმის საჩივრის გამო არის მოსული და, თანაც უბრძანა თავისი საჩივარი დაემტკიცებინა, დაესაბუთებინა. გიგაურმა ამაზედ მოახსენა, რომ ხაზინაში მაღაზიის მხოლოდ მცირეოდენი ფულია შეტანილი, თუმცა სოფლებში კარგა ბლომად არის მოკრებილიო, და ხაზინის წიგნებიდან ამოწერილი სია მიართვა.—მერე შენ რა იცი, რომ ბევრი ფული შეკრებილიო“? შეეკითხა ბოქაული. ამაზედ გიგაურმა უპასუხა: აქ ხიმანი არის ერთი, რომელშიაც ყოველივე შემოსული ფული იწერებოდა და გთხოვ, ის წიგნი მოატანინოთ, იქიდან ყველაფერი გაიგებათ.

მამასახლისმა ამის საპასუხოდ განაცხადა: მაგნაირი წიგნი აქ არაფერია, ვისაც ფულებს ვართმევდი, ბარათებს ვაძლევდიო. გიგაური ძალიან აადელვა მამასახლისის ასეთმა პასუხმა, მიიწია დავთრებისაკენ და იმეორებდა: „აქ არის, აქ უნდა იყოსო...

მიჩქმალული დავთრის პოვნა ვერ მოხერხდა. ხალხმა ხმა გაკმინდა. უნდა გადაწყვეტილიყო მოპირდაპირეთა ბედი. გიგაურმა უკან დაბრუნებული სია ისევ უბეში ჩაიდვა. მამასახლისმა გიგაურს მიაძახა: „ეხლა წაიღე ეგ ქაღალდი, გადესე და დალიე!“ ამ სიტყვებმა უფრო მეტად გააბრაზა მართლის მოყვარე გლეხი. აღარ იცოდა, რა უნდა ექმნა, მით უმეტეს, რომ მამასახლისის მოკეთეებმა გაავრცელეს ხმა: თუ მამასახლისს ყველაფერი ვერ დაუმტკიცა, გიგაურს ციმბირში გააზავნიანო. მაშინ გიგაურმა სთქვა: „აბა, ერთი ახვლედიანს დაუძახეთო“ (ეს ახვლედიანი აქ მწერლად ნამყოფია). დაუძახეს ახვლედიანს. იმან ახსნა, რომ მამასახლისს ჰქონდა დაბეჭდილი დავთარი თავისთვის, სადაც შემოსული ფული იწერებოდაო. ეხლა-კი მამასახლისი გამოტყდა და სთქვა, რომ, მართალია, მაგნაირი წიგნი მქონდა, მაგრამ აღარა მაქვსო, და თანაც დაუმატა: „ის დავთარი არც ზონარ-გაყრილი იყო და არც ბეჭედ დასმულიო“. ბოქაულიც დასთანხმდა, რომ ის დავთარი მამასახლისის კერძო დავთარი იყოო და ძალა აღარ დაუტანებია, რომ მამასახლისს ის დავთარი გამოეჩინა. მაგრამ ბ-ნმა ახვლედიანმა სხვა დავთრები გადმოალაგა და ალაპარაკა, რომლებშიაც დაწვრილებით იყო ჩაწერილი, რომელი სოფლიდგან რამდენი იყო შემოსული. იანგარიშა ბოქაულმა ეს ფულები, შეადარა ხაზინაში შეტანილ ფულის ბარათებს და დარწმუნდა, რომ მამასახლისს **ას** თუმნამდის მაღაზიისა თუ სხვ. ფული აუკრეფია და ხაზინაში-კი არ შეუტანია. ასე, რომ გიგაურის საჩივარი თითქმის გროშ-გროშობით დამტკიცდა.

დავთრების ჩხრეკისა და ანგარიშის დროს მამასახლისი ძალიან ცუდ გუნებაზე დადგა; ერთი სიტყვითაც არა ცდილა თავი გაემართლებინა, წინანდელი რიხიანობა დაეკარგა. ერთი ეს კი წაილაპარაკა: ამის შესახებ მე მოსამართლეს გავცემ პასუხსაო. გლეხებმა ხმა გაკმინდეს და ერთმანერთს გაკვირვებით დაუწყეს ყურება. მამასახლისს ბრაზი მოუვიდა და შეეყვირა გლეხებს: „გადით აქედან, რას უდგეხართ აქ და შემოგვყურებთო“. თითქოს ის შენობა სოფლის კანცელარია-კი არა, მამასახლისის საკუთარი სახლი ყოფილიყოს. მაგრამ გიგაურმა არხეინად შენიშნა: „რა გინდა, იევნე! მაგათი ფულია შეჭმული და თუ ეგენიც არ გაიგებენ, მაშ ვინ უნდა გაიგოსო!! შემდეგ მიუბრუნდა ბოქაულს და მოახსენა: „იმ ფულების გარდა, მამასახლისმა აკრიფა უბილეთოდ ტყის მოჭრის ჯარიმა—ოც-და-ათ თუმნამდე და ხაზინაში-კი არ შეუტანიაო“, და ამასთანავე წინ დაუდვა სია იმ გლეხებისა, რომელთაც ჯარიმა გადაეხადნათ. ყველა ეს ჩაიწერა, რასაკვირველია. კანცელარიის მოსამსახურე გიგაურმა განუცხადა ბოქაულს, რომ მამასახლისმა ჩემი ჯამაგირის მაგივრად ბარათი მომცა (ბარათი წარუდგინა), ფოსტის ფულისა ოთხი თუმანი მივიღეო. ფული-კი არ შეუტანია, ეხლა „ნედოიმკად“ დამაწერეს და ხარი წამართვესო. ბოქაულმა უბრძანა: მამასახლისს უჩივლე და გადაახდევინეო.

საწილაანთ-კარის ხარჯის მკრეფავმა მოახსენა, რომ მამასახლისმა ფოსტის ფული აიღო ჩვენ სოფელში, აგერ რათა ხანაა, არც თვითონ შეაქვს ხაზინაში და აღარც მე მაძლევს რომ შევიტანოვო....

ბოლოს ბოქაულმა გამოუცხადა ხალხს, რომ ამ ოქმს ამ ორიოდე დღეში მაზრის უფროსს წარვუდგენ და ის-კი თავის მხრით გუბერნატორს მოახსენებსო. ამის შემდეგ ნასიამოვნები ხალხი დაიშალა.

ასე დასრულდა პირველი გამოძიება იმ სასოფლო საქმისა, რომელიც, მას და სასახელოდ, ითავა გ. გიგაურმა. ხალხი დიდად ნასიამოვნებია, რომ თავის შორის გამოუჩნდა ასეთი პატრონი და ქომაგი. თვით გიგაური-კი დარწმუნებულია, რომ გამომძიებელი, რომელსაც ეს საქმე უეჭველად გადაეცემა, ბევრს ისეთ რასმეს აღმოაჩენს, რაც არც გუბერნატორთან გაგზავნილ საჩივარშია მოხსენებულიო. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ბოქაულმა გამოიკვლია გაფლანგული ფულების შესახებ მხოლოდ რამდენსამე სოფელში და ისიც ერთი წლის განმავლობაში. გამომძიებელი-კი, რასაკვირველია, ამას არ დასჯერდება, ის მთელი სამამასახლისოს შემოსავლის ანგარიშებს და ისიც სამის წლის და არა ერთის განმავლობაში... იგივე გამომძიებელი, უეჭველია, აპოვნინებს მამასახლისს იმ „საშინაო“ დავთარს, რომელიც აგრე უგემოდ დაიკარგა.

დასასრულ, არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ გ. გიგაურის გონივრულმა ლაპარაკმა, წინ დახედულმა მსჯელობამ და საბუთიანობამ ყველანი გააკვირვა. „იმედია, ჭოპორტის საზოგადოება ღირსეულად დააფასებს გ. გიგაურის თავ-გამოდებას.

დამსწრე.

ქუთაისი. პარასკევს, დეკემბრის 6, დასჭრეს აქაური ცნობილი თუთუნის მექარხნე სტეფანე ფირალიშვილი. საქმე ასე იყო:

საღამოს 7½ საათზედ, თავის თუთუნის მაღაზიის წინ (აფთიაქის ქუჩაზე), სადაც ჯერ კიდევ ათასობით ირეოდა ხალხი, დაეცა ფირალიშვილს ორი კაცი ხანჯლებით და სამგან დასჭრეს თავში და ერთგან ბეჭში.

მაღაზიაში შევარდნილ ფირალიშვილს ავაზაკები თან შეჰყვნენ ამოწვდილ ხანჯლებით; ერთ მათგანს, რომელიც უფრო წინ იყო და უნდოდა, ის-ის იყო, ხანჯალი ჩაეკრა თავის მსხვერპლისათვის, მაღაზიაში ამ დროს შემთხვევით მყოფმა იოსებ ბეთანაშვილმა დაჰკრა სკამი ავაზაკს და წააქცია. ამის მნახველი, მეორე ავაზაკი გაიქცა; პირველიც უცებ წამოვარდა ზეზე, და გაიქცა გარედ; ბეთანაშვილი და სხვები გამოუკიდნენ უკან ყვირილით: „არიქა, კაცი მოჰკლეს, დაიჭირეთ, არ გაუშვათო“, მაგრამ ვერ დაიჭირეს.

პოლიციაც სწორედ გაჭირვების დროს მიგეფარება თვალიდგან- ამ აურ-ზაურისა და გაჭირვების წამებაში პოლიცია არსად გამოჩნდა და ავაზაკებმა თამამად მოქუსლეს და თავს უშველეს.

თუმცა ყაბალახები ჰქონდათ მოხვეული, მაგრამ სახე მაინც უჩანდათ ავაზაკებს და სინათლეზედ იცნეს, ვინც იყვნენ.

მეთვალყურე.

კავკასია

3 დეკემბერს მთელი ადლერი შეაძრწუნა საშინელმა ამბავმა: გემების ზედამხედველის ვ. კ. თოფურიძის მეუღლემ ლეონიდა გრიგოლის ასულმა, ქმრის შინ არ ყოფნის დროს, გადააბა ერთმანეთზე ქმრის ორი ყელ-სახვევი, მიაბა საწოლს, გაჰყო შიგ კისერი და თავი დაიხრჩო. როდესაც სახლში შებრუნდა მოსამსახურე, რომელიც ძალათ გაჰგზავნა ქალმა კარში, ჰნახა, რომ შველა შეუძლებელი-ღა იყო. პატარა ბავშვი გვერდზედ იჯდა და სტიროდა. განსვენებულს ჯიბეში ბარათი უპოვეს: ჩემი სიკვდილი არავის დააბრალოთო. თავის მოკვლის მიზეზი არა სჩანს. ქმარსაც და ცოლსაც ერთმანეთი გაგიჟებით უყვარდათ. ეს შემთხვევა შეიძლება აიხსნას იმით, რომ განსვენებული უცებ ჰკუაზე შეიშალა. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც მეორე სართულიდან გადავარდა, რის გამოც ხშირად ჩიოდა თავის ტკივილს და ნერვების მოშლას. განსვენებული ბათუმელია, სადაც აპირებენ მის გვამის წასვენებას.

ფელეტონი

ალექსანდრე ბატონიშვილი

(ისტორიული ამბავი)

II*)

ალექსანდრე ბატონიშვილის გრძნობიერმა მოწოდებამ დიდი გავლენა იქონია ისედაც უკმაყოფილო ხალხზედ და აჯანყდა მთელი ქართლ-კახეთი, წინააღუდგა მმართველების ყოველგვარ განკარგულებას და, სადაც დასჭირდა, ძალასაც მიჰმართა. 1812 წ. იანვრის 31 დაიწყეს აჯანყება თელავის მაზრის სოფ. ახმეტის მცხოვრებლებმა. როდესაც იქ მივიდნენ მოხელე კაცები და იქ მყოფ ჯარის სურსათის მოსაპოვებლად ხარჯს სთხოვდნენ, ისინი ბრძანების შესრულების მაგიერ, აცვივდნენ სამრეკლოზედ, დაუწყეს ზარებს რეკა და მთელი სოფელი მსწრაფლ შეჰკრიბეს. შეერთებულის ძალით დაეცნენ თავს ჯარს, სძლიეს და გააძევეს თავის სოფლიდგან. ეს ამბავი ელვასავით მოედო მთელს ქართლ-კახეთს და ყველგან აჯანყდა ხალხი. ხალხს მხარი მისცა თავად-აზნაურობამ და ზოგიერთმა სასულიერო წოდების კაცმაც. ამ გვარად გაჩნდა საზოგადო უკმაყოფილება, ხოცვა-ჟლეტვა და დატრიალდა ცოდვის ლული. თელავის ახლო-მახლო მცხოვრებლებს და თავადებს მხარი მისცეს იქ მცხოვრებლებმა სომხებმაც და სამი-ოთხი ახლო-მახლო სოფელი: მატაანი, თიანეთი, ახმეტა და მარალისი დაეცნენ ციხეს, დაანგრიეს მოხელეთა ბინა-სადგურები, გაძარცვეს სანოვაგის მაღაზიები და მოჰკლეს რამდენიმე ჯარის-კაციც. არ გაუვლია რამდენსამე დღეს, რომ გაისმა ხმა აჯანყებისა საგარეჯოს ახლო-მახლო სოფლებში, დაეცნენ იქაც ჯარების ბინებს, დაანგრიეს, დაამტვრიეს, ამოსწყვიტეს ჯარისკაცნი და გაეშურნენ ტფილისისაკენ.

8 თებერვალს, 1812 წ. ფშავ-ხევსურებმა მისცეს მხარი კახელებს და შეერთებულის ძალით შეჰკრეს გზა და აღარც იქით გაუშვეს ჯარი და აღარც აქეთ. კახეთის კარი ამ ნაირად მაგრად ჩაიკეტეს. მთელი სიღნაღის მაზრა გარემოცული იყო აჯანყებულთა ბრბოთი. სოფ. კაკაბეთი, სადაც ჯარის გამოსაკვებად მაღაზიებში დიდძალი სურსათი ინახებოდა, გარეშემორტყმული იყო აჯანყებულ ხალხით და, დღეს თუ ხვალ, მთელი მაღაზიები ცეცხლის მსხვერპლი უნდა შექმნილიყო. აქედგან აჯანყებული ხალხი ქართლს უნდა მისდგომოდა, იქაც არეულობა უნდა მოეხდინა და შეერთებულის ძალით ბრძოლის ველზედ გამოსულიყვნენ, მაგრამ გენ. პარნიაგინმა მსწრაფლ მოახდინა განკარგულება, აქედგან თავისი ჯარი, იქიდგან სვიმონოვიჩმა იმერეთში მყოფი ჯარი მოაშველა და დროებით შეაჩერეს აჯანყებულთა პლანების ასრულება.

აჯანყებულნი გაეშურნენ ანანურისაკენ, მოიმხრეს მთელი არაგვის მცხოვრებნი, გუდამაყრისა და მთიულეთის მკვიდრნი და შეერთებულის ძალით აიღეს ანანურის ციხე, გაჟლიტეს ჯარი და დაიმორჩილეს მთელი ქალაქი. ერთის სიტყვით მთელი ქართლ-კახეთი, მთიულეთი და ფშავ-ხევსურეთი საზოგადო პლანით და საზოგადო მოსაზრებით მოქმედებდა. ყველგან ერთ დროს აჯანყდა ხალხი და ყველგან ახალის წეს-წყობილების წინააღმდეგ მოქმედებდა.

რასაკვირველია, არც მთავრობა იყო ამ დროს გულხელ დაკრეფილი. ისიც დიდის ენერგიით და ძალით შეებრძოლა მეამბოხეთა და რამდენისამე ხნის შემდეგ აჯანყებული ხალხი თითქო დაამშვიდა. გარეგნობით დამშვიდებულად ითვლებოდა ქართლ-კახეთი, მაგრამ ცხოვრებას ჯერ კიდევ დამშვიდების ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა. ამას კარგად ჰხედავდა მაშინდელი მთავარ-მართებელი გენ. მარკოზ პაულიჩი და ამიტომაც სასტიკი გამოძიება მოახდინა, რათა შეეტყო მიზეზი ამ გვარ საერთო უკმაყოფილებისა და ხალხის აჯანყებისა. ამ აზრით მან ფიცხელი განკარგულება გაჰგზავნა ქართლ-კახეთის უფროს მოხელეებთან, უმაღლესს სასულიერო კაცებთან და საზოგადოდ გავლენიანებთან. მთავარ-მართებელი სთხოვდა, დაუყოვნებლივ მაცნობეთ ყველა ის მიზეზნი, რამაც გამოიწვია ხალხის აჯანყება და მთავრობისადმი ამ გვარი სიძულვილიო.

ამის პასუხად თავად-აზნაურობის წინამძღოლი გენ. მაიორი თავ. თამაზ ორბელიანი სწერს მთავარ-მართებელს მარკ. პაულიჩს, რომ „ქართლ-კახეთის აჯანყების მიზეზი, რამდენადაც მე შევსძელ შეტყობა, თუ ხალხის ნალაპარაკევით და თუ იდუმალ გამოძიებით, არის შემდეგი გარემოება: ეს ორი წელიწადია, რაც საქართველოში არაფერი არ მოსულა, შიმშილობამ ხალხს გული გაუტეხა. ამ გვარ დამწვარ ხალხს რუსეთის მთავრობამ, შველის მაგიერ, მდუღარე დაასხა. ჯარის შესანახ გადასახადს დღე დღეზედ სთხოვენ და ახდევინებენ მაშინ, როდესაც თავისი მშიერი კუჭი ვერაფრით გამოუძღიათ, მშიერი ოჯახი თვალ-წინ ატირებულ აღელვებული უდგიათ. კოდი პური ექვს მანეთად ღირს და ამ დროს ხაზინაც თავისას ითხოვს და ოჯახიც. მოდი და გაუძლოს მშიერ ადამიანს გულმა... ამას კიდევ დიდის გაჭირვებით აიტანდა კაცი, რომ ინტენდანტის მოხელენი წონაში არ სცარცვამდნენ სალოდავებს. რამდენიც მიაქვთ, იმდენს კიდევ წონაში ჰპარავენ და ატყუებენ. პრავიანტის მიტანის დროს ხშირად აჩერებდნენ ვახმეისტრები გლეხებს და სთხოვდნენ ქრთამს, რომ ადრე მიეღოთ პური და ადრევე გაეშვათ შინ. ხშირად ისე ავიწროვებდნენ, რომ იძულებულნი იყვნენ მიეტოვებიათ ურმები, ხარები, ქირაც და ყველაფერი, ოღონდ შინ ადრე დაბრუნებულიყვნენ და ოჯახში მუშაობას არ მომცდარიყვნენ. ამას გარდა, ძლიერ დიდ გაჭირვებას ჰგრძნობს ხალხი ჯარის გადასაყვან-გამოწვევის დროსაც. ჯერ ერთი რომ სადაც ორასი და სამასი ურმელი ხარია საჭირო, იქ ადმინისტრაცია იწვევს ათასს და ორი ათასს, რაც ფრიად მძიმე ტვირთად აწვება სოფელს, რადგან ხანგრძლივ მძიმე ტვირთის ზიდვის გამო, თავისი, შვილზედ უძვირფასესი, ხარ-კამეჩი წელ-მოწყვეტილი უბრუნდება შინ და ოჯახს აღარაფრად ადგება. ნამეტანი გადასახადი და სასტიკად მოპყრობა გადახდევინების დროს—ერთი უმთავრესი მიზეზია ხალხის უკმაყოფილებისა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ იმ გვარ გაძლიერებულ „ეგზეკუციას“, როგორიც ახლა აქ არსებობს, ვერც ერთი კავკასიელი ხალხი ვერ აიტანს, მერე იმ დროს, როდესაც პურის მარცვალი ხალხს თავის გამოსაკვებლად ვერსად უშოვნია. მთავრობა „ეგზეკუციის“ საშუალებით თხოულობს პურს. მე წინადაც მსურდა ხალხის ამ გვარი მდგომარეობა დაწვრილებით აღმეწერა და მეცნობებია უწინდელ მმართველის გენ. ტორმასოვისათვის, მაგრამ ტორმასოვი ისეთი დაუნდობელი და სასტიკი კაცი იყო, რომ არც ხალხის და არც თავად აზნაურობის გაჭირვებით არ შეიწუხებდა თავს და მეც ამ მიზეზით ასე გვიან შევუდექი ჩვენის ხალხის უბედურ მდგომარეობის აღწერას და, ვისიც ჯერი იყო, ცნობას. დღეს ხალხი ყველგან აღელვებულია, მოთმინების ფიალა ავსოთ და საბრალოებმა არ იციან, რას სჩადიან... *)

ამ გვარივე წერილი მოუვიდა მთავარ-მმართებელს პაულიჩის -რუსთავის მთავარ-ეპისკოპოზის სტეფანესაგან. მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა სწერდა, რომ, როგორც ჩემი მძიმე მოვალეობა, ისე თქვენის მონდობილის საქმის სიმძიმე მიძულებს რაც ვიცი, რაც ჩემმა ჭკუა გონებამ განსჭვრიტა—დაწვრილებით მოგახსენოთ. მე არ ძალმიძს აღგიწეროთ ხალხის ყველა ის უბედურობა, რა უბედურებაშიაც ისინი იმყოფებიან და რა სატანჯველსაც გრძნობენ. დღემდის, როგორც ჯარი, ისე მათი ღენერალი და მთლად ხალხის უფროსები, უმთავრეს მოხელედგან დაწყებული სულ უკანასკნელ მოსამსახურემდე უყურებენ ხალხს, როგორც მხოლოდ მათთვის და მათ საჭიროების დასაკმაყოფილებლად გაჩენილ არსებათ. ბატონობენ მათზედ ისე, როგორც ბატონი მონაზედ. სარგებლობენ მათით ისე, როგორც სურთ და ნებავთ. სცემდნენ, როგორც ხალხს, ისე მათს საქონელს, უსმელ-უჭმელი ჰყავდათ დაკავებული მთელის კვირაობით, თვეობით, არც შინ უშვებდნენ და არც გარეთ აძლევდნენ მოსვენებას. ვაზი მოისხამდა თუ არა ყურძენს, დამწიფებას ვინ აცლიდა, დაჰკრეფდნენ ჯერ ისევ მწვანეს - დაუმწიფებელს და ხმარობდნენ საჭამადის საკმაზად-გასამჟავებლად. ამის შემხედვარე ხალხს გული სტკიოდა

---

*) იხ. „ივერია“ № 262.

*) Рапортъ груз. марш. ген.-м. князя Тамаза Орбеліани къ Пауличи отъ 14 марта 1812 года Тифлисъ.

რუსეთი

თეოდოსიის პორტის უფროსს ბ-ნს პერფილიევს მიუმართავს ყველა სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებისათვის, —შეგვატყობინეთ, რა გვარია თქვენსა და მუშებს შორის დამოკიდებულება, რა ვითარებაში მუშაობენ მუშები ნავთ სადგურზეო.

— 25 წელი შესრულდა, რაც ბულგარია განთავისუფლებულ იქმნა ოსმალეთის ბატონობისაგან. ამის გამო 1903 წ. მაისს რუსეთში მოვა ბულგარიის ხალხის დეპუტაცია, რომ რუსეთის ხალხს მადლობა გამოუცხადოს.

— კიევის სიფხიზლის საზოგადოების საგუბერნიო კომიტეტმა გარდასწყვიტა დაარსდეს კიევის გუბერნიის ყველა მაზრაში სახალხო სახლი, სადაც დღისით ბავშვებს ასწავლიან და სალამოს გაიმართება კურსები მოზრდილთათვის.

— გამოვიდა პირველი ნომერი **„Владимирская газета“**-სი. რედაქცია აცხადებს, რომ ჩვენი მოვალეობაა დავიცვათ ადგილობრივ მშრომელ ხალხის ინტერესები სარწმუნოებისა და ეროვნობის განურჩევლადაო. სულით და გულით ვუსურვებთ ახალ რედაქციას თავისი სურვილი სავსებით განეხორციელებინოს.

უცხოეთი

საფრანგეთი. მინისტრ-პრეზიდენტ კომბმა განაცხადა, იმისდა მიხედვით, თუ როგორ დასრულდა სენატორთა არჩევანები, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მომავალ არჩევნებზე 10—12 ახალი კანდიდატი შეეძინება მთავრობას ლიუქსენბურგის სასახლეშიო.

— მთავრობის განკარგულებისამებრ ადმირალ რუვიემ წინადადება მისცა გემ-ხომალდთა მეპატრონეთ და გაფიცულ ზღვაოსანთ,— თქვენს შორის მომხდარ უთანხმოების გამოსარკვევად სამედიატორო სასამართლოს მიჰმართეთო.

გასულ ოთხშაბათს მარსელის მუშათა ბირჟაზედ ყრილობა ჰქონდათ გაფიცულებს და, სხვათა შორის, რუვიეს წინადადებაზედაც ჰქონდათ მსჯელობა. კრებამ უარ-ჰყო რუვიეს წინადადება და ერთხმად დაადგინა, — მოვუწოდოთ მუშების ყველა ამხანაგობათ, თავი გაანებონ მუშაობას და მხარი მისცენ მარსელში გაფიცულებსაო. ყრილობის დაშლის დროს გაისმოდა ყვირილი: „გაუმარჯოს საერთო გაფიცვასაო!“

ავსტრია-უნგრეთი. ნოემბრის 26-ს ახალგაზრდა ჩეხთა კომიტეტს კრება ჰქონდა პრაგაში. საპარლამენტო კლუბის თავმჯდომარემ დოქტორ პაცაკმა მოახსენა კრებას ეხლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა, ჩეხიის გერმანელთა პროექტი სადაო საკითხთა შესახებ, და აღნიშნა ისიც, თუ როგორ მიეგებნენ ამ პროექტს ახალგაზრდა ჩეხთა კლუბი და საზოგადო საბჭო ახალგაზრდა ჩეხთა, კონსერვატორთა და მემამულეთა დასებისა. ხანგრძლივ თათბირის შემდეგ მოწონებულ იქმნა წინანდელი დადგენილება—არ იქმნას მიღებული ეს პროექტიო. შემდეგ ამისა, ახალგაზრდა ჩეხთა კლუბის საპარლამენტო დასს მიენდო შემუშავება საწინააღმდეგო პროექტისა, რომელიც ჯერ აღმასრულებელ კომიტეტს უნდა გადაეცეს დასამტკიცებლად, მერმე ეცნობოს ყველა კლუბსა და ამ გვარად გამოქვეყნდეს. საწინააღმდეგო პროეტის მასალად თავიანთ პროექტები წარადგინეს დოქტორ კრამარჟმა, ჰეროლდმა, ჟაჩკამ და გრეგრამ. დიდად აალელვა ჩეხთა საპოლიტიკო დასები ერთი ადგილობრივ გაზეთის განცხადებამ, რომელშიაც ნათქვამია: „გერმანელთა მიერ წარმოდგენილი პროექტი ნაყოფია ერთის მხრით ბბ. პაცაკისა და კრამარჟისა და მეორეს მხრით დოქტორ ბერნრეიტერის შეთანხმებისა, რომელიც მთავრობის ზედგავლენით მოხდა. მოსალოდნელ შემთხვევისათვის პროექტში დატოვებულია თავისუფალი ადგილები, თუ ვინიცობაა საჭირო იქნა რისამე ჩამატება; აგრეთვე განზრახ არის შეტანილი ზოგიერთი უკიდურესი აზრი, რომ საყოველთაო ყურადღება მან მიიქციოს და სხვა ყოველივე შეუმჩნევლად დარჩეს. რასაკვირველია, უკიდურესი მუხლები, საზოგადო სურვილისამებრ, უარყოფილი იქნება, როგორც წინდაწინვე ჰქონდათ მოლაპარაკება ზემოხსენებულ მოღვაწეთაო“.

ბულგარია. გაზეთ „სალამოს ფოსტა“-ს სიტყვით, რუსეთის სადიპლომატო აგენტის ბახმეტევის მეუღლეს, რომელიც მაკედონიიდგან ლტოლვილთათვის შემწეობის აღმოსაჩენად წავიდა ბულგარია-მაკედონიის სახღვრებზე, თან ეხლნენ: ბულგარიის გარეშე სამინისტროს კანცელარიის უფროსის ამხანაგი ბ-ნი ჩაპრაშიკოვი, ერთი რუსეთისა და ორი ბულგარიის „წითელ ჯვრის“ მოწყალების და. ქ-ნი ბახმეტევისა დაივლის დუბნიცას, დრაგოდანს, ბურანოვოს, რილოს და პესტრას. რილოს მონასტერში ქ-ნი ბახმეტევისა მოაწყობს „წითელ ჯვრის“ დროებითს სასანიტარო თავშესაფარს. ლტოლვილთა რიცხვი 2000-მდეა.

ჩვენი მოვალეობაო,—დასძენს გაზეთი,—გულითადი მადლობა შევსწიროთ ქ-ნ ბახმეტევისას, რომელმაც არ დაიზარა შრომა და ყოველივე ღონისძიება იხმარა ჩვენ მაკედონელ მოძმეთა სვე-ბედის გასაუმჯობესებლადაო.

ჰოლანდია. ერთის მხრით იაპონიისა და მეორეს მხრით საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის შორის ატეხილი დავა ჰააგის საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს გადაეცა განსაჭობად. მოსამართლედ დანიშნულია ამ სამედიატორო სასამართლოში მყოფი შვეცია-ნორვეგიის წარმომადგენელი.

გავახსენებთ მკითხველებს, რომ ეს დავა გამოიწვია იაპონიის სურვილმა—განსაკუთრებული გადასახადი გაეწერა იმ შენობებზე, რომელიც ფრანგებისა, ინგლისელებისა და გერმანელების მიერ საკონცესსიოდ აღებულ ადგილებზეა აშენებული. ფრანგებს, ინგლისელებს და გერმანელებს უკანონოდ მიაჩნიათ ეს განსაკუთრებული გადასახადი რადგან არსებობს საზოგადო გადასახადი უცხოელების მიერ საკონცესსიოდ აღებულ ადგილებზედ. ამისგამო ასტყდა დავა, რომელიც ჰააგის საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს გადაეცა.

გაზ. „Daily Express“-ის სიტყვით, კრიუგერს პრეტორიაში გადასახლების სურვილი განუცხადებია. ორ გავლენიან ინგლისელს, რომელნიც პრეზიდენტთან მეგობრულად არიან, მიუმართავთ საახალშენო უწყებისათვის თხოვნით,—მიეცით ნება მხცოვან პრეზიდენტს სამშობლოში დაბრუნდესო,—და თანაც 200,000 გირ. სტერლინგი (2,000,000 მან.) წარუდგენიათ წინდად, რომ კრიუგერი მშვიდობიანად იცხოვრებსო. მაგრამ საეჭვოა, რომ საახალშენო უწყებამ დააკმაყოფილოს პრეზიდენტის სურვილი.

ჰგონებენ, კრიუგერის სამხრეთ-აფრიკაში ყოფნას ის მოჰყვება, რომ ახალ მთავრობით უკმაყოფილნი მის გარშემო თავს მოიყრიან, და მისი ბინა ბრიტანიის მოწინააღმდეგე ბუდედ შეიქნებაო.

სერბია. მაკედონელ მეამბოხეთა ცნობილ ბელადს პოლკოვნიკ იანკოვს ბელგრადში ყოფნის დროს განუცხადებია, აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია, რომ სერბია და ბულგარია შეთანხმდნენ და ისე იმოქმედონ, თუ ჰსურთ მაკედონიის საქმეს რაიმე ეშველოსო. სწორედ ამავე აზრისაა სარაფოვიც.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

„ციმბირელი“ კომ. 4 მოქ. ა. ცაგარლისა და „მოტია“ ვოდ. 1 მოქ.

კვირის იაფ-ფასიან წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც ძალიან დარჩა, რადგანაც, როგორც „ციმბირელი“, აგრეთვე „მოტია“-ც ჩვენმა მსახიობებმა კარგად წარმოადგინეს.

როლები „ციმბირელი“-სა წინანდელებრ იყო განაწილებული; ამიტომ ახალი აღარა ითქმის-რა მსახიობების შესახებ. რაღა თქმა უნდა, რომ გ. აბაშიძე, ჩვეულებისამებრ, მშვენიერი მაზუთიანი იყო; ასევე კარგი იყო დ. აწყურელი დარდიმანდ და ლოთი-ფოთი პეტუას როლში; ბუნებრივის დრამატიზმით შეაზავა გ. გამრეკელიძემ თვისი თამაშობა ციმბირელ ვანუას როლში. ახალთაგანნი იყვნენ ქ-ნი ლეჟავა და ბ-ნი გოცირიძე; პირველი თამაშობდა მაშოს როლს, მეორე-კი სტეფან მაკარიჩისას.

ორივ ახალგაზდა მსახიობის სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ არც ერთმა მათგანმა ავტორის განზრახვას არ უღალატა. განსაკუთრებით-კი მეორემ, რომლის სტეფან მაკარიჩი წამ და უწუმ საზოგადოებაში გულიან სიცილს იწვევდა. თამაშობა გოცირიძესი იყო ზომიერი და დაკვირვებული.

ვოდევილმა „მოტიამ“ საზოგადოების დაუსრულებელ სიცილ-ხარხარში გაიარა. ან რა გასაკვირველია, როდესაც ქ-ნს გაბუნია-ცაგარლისას და ბ-ნთ აბაშიძეს და გედევანოვს ერთად მოეყარათ თავი და თითქმის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, აბა ჩვენგან რომელი აჯობებსო. ეს არის მხოლოდ, რომ ჩიტი ბდღვნად არ ღირდა, თუმცა ბევრი-კი ვიცინეთ.

—

ნუ დაივიწყებს ჩვენი საზოგადოება, რომ ხუთშაბათს ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი ჩვენის სასიქადულო მსახიობის **ვ. ა. აბაშიძისა**, რომელიც ამ სადღესასწაულო დღისთვის სდგამს „ტარტიუფს“ და „მეჯლიშსა იტალიელებით“. იმ ესტეტიურ სიამოვნებასთან ერთად, რომელსაც გვპირდება ეს წარმოდგენა,—გავიხსენოთ აგრეთვე ისიც, თუ რა ღვაწლი მიუძღვის მოდღესასწაულე მსახიობს ქართველთა თვით-ცნობიერების განვითარების საქმეში და მაშინ ყველას თვალ-წინ წარმოგვიდგება ჩვენი მოვალეობა.

—

კვირას, 8 დეკემბერს, ავლაბარში, მურაშკოს თეატრში, ქართველთა სცენის მოყვარულებმა წარმოადგინეს: ა. ყაზბეგის 3 მოქ. დრამა „არსენა“ და ა. ცაგარლის 1 მოქ. ვოდ. „ოინბაზი“.

ხალხი ბლომად დაესწრო, მაგრამ წარმოდგენამ ვერაფრად ჩაიარა.

თელაველი.

—

ბათუმი. გასული თვის 21 და 23-ს საინტერესო წარმოდგენები გაიმართა აქ. 21-ს ქუთაისის დრამატიულმა დასმა, ბათუმის ქართველ სცენის მოყვარეთა დახმარებით, ითამაშა „შეშლილია“ და „ბაიყუში“. 23 ნოემბერს-კი ბათუმის რუსულ სცენის მოყვარეთ, ალ. მესხიშვილის და ქორიძის მონაწილეობით წარმოადგინეს „ავადმყოფი ხალხი“ ჰაუპტმანისა რუსულად. საინტერესონი იყვნენ ჯერ ერთი მიტომ, რომ ორივე წარმოდგენები საქველ-მოქმედო აზრით იყო გამართული (პირველი ქართული სკოლის და მეორე აქაურ საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ). ორივ წარმოდგენაში, როგორც ქართულში, ისე რუსულში, მონაწილეობას იღებდა ჩვენი გამოჩენილი არტისტი მესხიშვილი. „ავადმყოფ ხალხში“ მონაწილებას იღებდა აგრეთვე ბ-ნი ქორიძე, ახალგაზდა განათლებული არტისტი, რომელმაც, სულ ცოტა ხანია, რაც დაიწყო სამშობლო სცენის სამსახური. უნდა შევნიშნოთ, რომ „შეშლილია“, ეს ისეთი პიესაა, რომელიც იძლევა სურათს ისეთი ხალხისას და ისეთი ცხოვრებისას, როგორიც დიდად არ უნდა აინტერესებდეს ჩვენს საზოგადოებას. და აკი არც აინტერესებს. მიუხედავად მესხიშვილის ხელოვნურის თამაშისა, ხალხის უმრავლესობისათვის მაინც გაუგებარი დარჩა, თუ რა აშფოთებდა და ჰქენჯნიდა არტისტის სულსა და გულს. ჩვენს საზოგადოებას, ხალხის უმრავლესობას, თეატრი აინტერესებს იმდენად, რამდენადაც თავის ცხოვრების შესაბამ სურათებს უხატვენ და ამავე ცხოვრების მიერ წარმოშობილს კითხვებს ეხებიან მშობლიურს სცენაზედ. რასაკვირველია, რომ ვერც მთარგმნელებმა და ვერც არტისტებმა ვერ აუღეს ალღო ჩვენის ხალხის ამ სულიერ მოთხოვნილებას.

რაც შეეხება წარმოდგენას, მესხიშვილს ხელი შეუწყეს დანარჩენებმაც, ჩინებული იყო ექიმის როლში ბ-ნი კალანდარიშვილიც.

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და წმინდა შემოსავალი დარჩა ქართულ სკოლას 241 მან.

„ავადმყოფი ხალხის“ წარმოდგენამ თითქმის მთელი აქაური საზოგადოება მიიზიდა ეროვნების განურჩევლად. აქ ორი ქართველი არტისტი იღებდა მონაწილეობას. ერთი უკვე სახელ-განთქმული მესხიშვილი და მეორე ახალგაზრდა არტისტი ქორიძე. პირველი ასრულებდა რობერტის როლს და მეორე ვილჰელმისას. ყველანი ინტერესით მოელოდნენ,ქართველი არტისტების სცენაზედ გამოსვლას. აი, ფარდა აიწია და დაიწყო წარმოდგენა. ცოტა ხნის შემდეგ მესხიშვილმაც შემოსდგა ფეხი სცენაზე რობერტის როლში. წამსვე იგრიალა თეატრმა და ტაშის ცემას საზღვარი არა ჰქონდა. ექიმის შოლცის როლს ასრულებდა აქაური გიმნაზიის მასწავლებელი ბ-ნი დერჟავინი, რომელსაც მისმა შეგირდებმა გაუჭირეს საქმე ტაშის ცემით და გამოძახებით. საზოგადოდ, სცენის მოყვარეთ გვარიანად ჩაატარეს თავიანთი როლები. ქორიძე კარგი იყო ვილჰელმის როლში, მეტადრე მაშინ, როცა იგი მამას პატივებას სთხოვდა. მისმა ქვითინმა ბევრ მაყურებელს მოჰგვარა ცრემლები. იმედია, ეს განათლებული პირი, მთელს თავის ძალ-ღონეს შესწირავს სამშობლო სცენას. მით უმეტეს, რომ მას ნიჭი, ცოდნა, ხმა და გარეგნული შეხედულება ყველაფერი ხელს შეუწყობს, რომ მან საპატიო ადგილი დაიჭიროს ქართულ სცენაზედ. წარმოდგენამ, როგორც ზევითაც მოგახსენეთ, კარგათ ჩაიარა. ხალხი მეტად ნასიამოვნები დარჩა. თეატრში ტევა არ იყო.

—ონ—ლიძე.

სასამართლო

(რომანოვსკის საქმე)

ნახიჩევანის მომრიგებელ შუაკაცად ნამყოფი ნიკოლოოზ იპ. რომანოვსკი მიცემულ იქმნა პასუხის გებაში სასამართლოს წინაშე. ჰბრალდებოდა რევოლვერით მოკვლა თვისის საყვარლის მარიამ ალ. ლესკოვის ქალისა. ერევანის ოლქის სასამართლომ რომანოვსკი დამნაშავედ იცნო იმის გამო, რომ გულმოსულობის დროს საყვარელი მოჰკლა და გადაუწყვიტა ყოველ უფლებათა და უპირატესობათა ჩამორთმევა და 5 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

ერევნის ოლქის სასამართლოს განაჩენი ბრალდებულმა განასაჩივრა ტფილისის სამოსამართლო პალატაში. ეს საქმე პალატაში ირჩეოდა 7 დეკემბერს. თავმჯდომარეობდა პალატის წევრი ვ. პ. სომოვი, მონაწილეობდნენ პალატის წევრნი: ლ. ფ. ჟუკოვსკი და ე. გ. გეგიძე. ბრალსა სდებდა ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგი ბ-ნი გლაგოლევი. ბრალდებულს იცავდა პეტერბურგიდან მოწვეული ნაფიცი ვექილის თანაშემწე ო. ო. გრუზენბერგი. სასამართლოს დარბაზი ხალხით იყო სავსე.

როგორც ოლქის სასამართლოს განაჩენიდან სჩანს, ბრალდებულმა თავისი თავი დამნაშავედ არ აღიარა. მან განაცხადა, ლესკოვის ქალმა თავი თვითონ მოიკლაო. როგორც გამოძიების დროს აღმოჩნდა, საქმე ასე ყოფილა: ბრალდებულს ჰყოლია პეტერბურგში ცოლი და სამი შვილი, რაც აღნიშნულია მის პასპორტში. ლესკოვის ქალს რომანოვსკი პეტერბურგში დაუახლოვდა. ლესკოვის ქალი მუდამ დადიოდა რომანოვსკის ოჯახში და სადილობდა. ბრალდებულისა და ლესკოვის ქალის ასეთი დაახლოვება ცოლმა შეჰნიშნა და ქმარს უთხრა: ან სულ დაანებე მაგას თავი და ან სულ მაგასთან იცხოვ-

---

და ბოლმით სავსე გულ-დამწვარი შესცქეროდა თავის უბედურებას. პურის მიღების დროს კომისიონერები რას არ კადრულობდნენ. ოცის კოდის მაგიერ თუთხმეტს სწერდენ. წონაში ატყუებდნენ, სცემდნენ და ათახსირებდნენ ხალხს; ხალხს-კი არ შეეძლო ვისთანმე ეჩივლა—სამართალი ეძებნა, რადგან იქაც უარესი მოელოდა, თუ გაჰბედავდა და, სადაც რიგი იყო, საჩივრით მიიქცეოდა. ზამთარში გლეხებს მოჰქონდათ ურმებით პური და ხშირად საბრალონი მშიერ-მწყურვალნი, თითო ორორ კვირაობით იდგნენ მაღაზიის წინ და ელოდებოდნენ პურის ჩაბარებას და ქირის მიღებას. აქ პურის მიმღებნი განგებ აყოვნებდნენ პურის მიღებას, რომ ხალხს ქრთამი მიეცა და მალე წასულიყო... ამას ყველაფერს იგებდნენ მაზრის მმართველნი, მაგრამ ყურსაც არავინ არ იბერტყავდა და ისე უცქეროდა ამ ბოროტებას, თითქო ჩვენ არა შეგვეხება-რაო. როცა საჭირო იყო, მოსთხოვდნენ ხალხს, რომ ჯარის დასაბინავებელი სახლები აეგოთ და ან ცხენებისთვის საჯინიბე აეშენებინათ. ხალხი შეუდგებოდა შენობის აგებას, ააშენებდა, ჩასაბარებლად დაამზადებდა და ამ დროს მოსდებდნენ რაიმე მიზეზს, კარი აქ არ უნდა დაგეტანებინათ, ან და კიბე მეორე გვერდზედ უნდოდაო და სხვანი. უბრძანებდნენ დაერღვიათ და ხელმეორედ აეშენებინად, რადგან პლანით არ არის აშენებულიო. ეს გარემოება კიდევ უფრო აღელვებდა ხალხს. გაბოროტებული ხალხი სიკვდილს ნატრობდა. პოლიციასა და სასამართლოში თუ რაიმე საქმე გექნებოდა, მის დაბოლოვებას ნუ იფიქრებდი, თუ ყველას ქრთამით და პატივისცემით არ გაუძღებდი მუცელს. ის ჯარის უფროსები, რომლებიც სოფლებად სცხოვრობდნენ, არამც თუ აძლევდნენ რასმე საფასურს პურში, საჭამადში, ან სხვაში, არამედ იჭერდნენ ხალხს და ძალით ართმევდნენ. თუ გაჰბედავდა ვინმე რასმე—იჭერდენ და სჯიდნენ ულმერთოდ. ეს კიდევ უფრო აღელვებდა და აშფოთებდა ხალხს. სამის თვის განმავლობაში აფიცრები ტყუილად ამუშავებდნენ გლეხებს მინდვრებში—ათიბიებდენ თივას და მიჰქონდათ თავისთვის უფასოდ მაშინ, როდესაც ყველას სახელმწიფო თივა ეძლეოდა... ამას კიდევ არ სჯერდებოდნენ. თავის საქონლის გამოსაკვებლად ართმევდნენ გლეხებს საქონლის საკვებს და ამ მიზეზით გლეხობას საქონელი ნახევარჯელ სიმშილით ეხოცებოდა. პურის გადასაზიდავად ვსთქვათ საჭირო იყო ოცი ან ოცდაათი ურემი. კანონის ძალით, როგორც ვიცი, თვეში თითო ურემს 40 მანეთი ჰქონდა ქირად დანიშნული. თუმცა ხშირად შორს წასვლისა და ტვირთის სიმძიმისა გამო, უკან აღარც ურემი ბრუნდებოდა მთელი და აღარც საქონელი, მაინც 40 მანეთის მაგიერ იღებდნენ ხან 8 მან. და ხან კიდევ უფრო ნაკლებსაც.

დანარჩენი მიზეზებზედ არას მოგახსენებთ, რადგან ხალხი თვითონ გიჩვენებსთ, რაც უფრო შემწუხებელი და საგრძნობელი ასატანი იყო მისთვის*).

ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ პაულიჩიმ გაჰგზავნა კახეთში ნინოწმინდელი ეპისკოპოზი, მაიორი თავ. სოლომონ ავალოვი, თავისი მოძღვარი პატრი ონოფრე და შეუთვალა კახეთის ხალხს, რომ თუმცა თქვენ დიდი ხანია უკმაყოფილო ხართ რუსეთის მთავრობის წარმომადგენელებისა, მაინც იმ ხანში, რაც მე ქვეყანას ვმართავ, თქვენგან არავითარი საჩივარი მე არ მომსვლია და არც რამ გიცნობებიათ ჩემთვისაო. ამისათვის გიგზავნით რა აქ სანდო კაცთ, გთხოვთ, მათი დარიგება გაიგონოთ და დამშვიდდეთ. თორემ მე იძულებული ვიქნები ისე მოგექცეთ, როგორც აჯანყებულებს და ეს თქვენთვის დიდად საზარალო იქნება. თუ რამ გაწუხებთ, ან საჩივლელი გაქვთ რამე, მომახსენეთ მაგ სანდო კაცთა შემწეობით და გაძლევთ სიტყვას, უყურადღებოთ არც ერთს თქვენს კანონიერ თხოვნას არ დავაგდებ. ყველაფერზედ შესაფერს თქვენს დასაკმაყოფილებელ პასუხს მოგცემთო.

ამ გვარმა ტკბილმა, მამაშვილურმა სიტყვებმა გამოიწვია შემდეგ გულახდილი და ჭეშმარიტი აღსარება ბოდბის ხევის მკვიდრთა, სიღნაღის მაზრის მოურავის თ. იოსებ ანდრონიკაშვილის წინაშე. „თქვენ გვეკითხებით, თავადო, — სწერდნენ ისინი თავის მოხსენებაში,— აგიხსნათ, თუ რა მიზეზები წინაუძღოდა ჩვენს აჯანყებას, ან ვისი თაობა იყო ეს აჯანყება... ჩვენ, იმ დღიდგან, რა დღესაც ჩვენის ქვეყნის დასაცველად რუსეთის ჯარი შემოვიდა საქართველოში, დღემდის ამ 13 წლის განმავლობაში სრული კმაყოფილი და ერთგული ვართ რუსის მთავრობისა, რის დასამტკიცებლად ფიციც მიღებული გვაქვს და წმინდათაც ვინახავთ ამ მიცემულ ფიცს. დღევანდელი ჩვენი აჯანყება სრულებით რუსეთის მოღალატობის სურვილით არ დაბადებულა. იგი დაიბადა სულ ეს ერთი წელიწადია და არის მიმართული მარტო იმათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენთან ახლოს დგანან და ვისაც ასეთს წვალებაში ვყავართ. დღეს რაც ჩვენ წვალებასა და ტანჯვაში ვიმყოფებით, ამ გვარი ტანჯვა-წვალება ჩვენს ქვეყანას არც სპარსელებისაგან აოხრების დროს ახსოვს და არც თათრებ-ლეკებისაგან. რუსეთის ხელმწიფის ერთგულებისა და მისდამი სიყვარულისათვის ჩვენ ყველაფერს ვითმენდით, მაგრამ საყვარელ ცოლის გულ-მკერდიდგან ძალით აგლეჯა და წართმევა-კი ველარ მოითმინა ჩვენმა გულმა. ჩვენის სიტყვების დასასაბუთებლად გამოიძიეთ და შეიტყობთ, რომ საბრალო ბინობიშვილს რუსებმა მოსტაცეს საყვარელი ცოლი, ერთგული დედა შვილებისა და ორი კვირა ბოდბისხევში ჰყავდათ, შემდეგ შინ გამოუშვეს. ბაგაშვილს და ხოპაშვილსაც წაართვეს ცოლები და ორის კვირის განმავლობაში თავიანთ ქმრებს აყურებინებდნენ მათ ოჯახის გაუპატიურებას. როდესაც მამაკაცი რაიმე დანაშაულს ჩაიდენს კანონის ძალით, ღირსია დაისაჯოს, მაგრამ ესენი-კი ასე არ იქცეოდნენ. დაიჭერდნენ დედაკაცს, გახდიდნენ ყველაფერს და სცემდნენ როზგით, ყველას თვალწინ, საჯაროთ. აქედგან ფოთში უნდა ჩაგვეტანა პროვიანტი. წავიდოდით, მაგრამ უკან-კი მესამედაც ველარ ვბრუნდებოდით, რადგან ზამთარი მოგვასწრებდა და სადმე ხელ-ფეხ მომწვარი ვეყარენით ცოკხალ-მკვდრები. ამას გარდა, სადაც-კი წავიდოდა ჯარი საომრად, ჩვენც უკან მივსდევდით და მიგვქონდა სურსათი ურმებით. გავდიოდით ღამის დარაჯათ, საჭიროების დროს ბრძოლის ველზედაც გავდიოდით და ვებრძოდით მტრებს, რუსეთის ჯარის კაცთან ერთად. ამას გარდა უფასოდ მივეცით ჯარს და ეკკლესიას 150 ურემი პური და დღეს კიდევ გვთხოვენ 80 ურემს. რაც სურსათი ჩავაბარეთ, კოდში მივიღეთ მათგან 1 მ. 20 კაპ., მაშინ, როდესაც ჩვენ თვითონ ვიყიდეთ კოდი 4 მანეთად და თითო მანეთი გზის ფულად გავიღეთ. გარდა ამ გვარის ცარცვა-გლეჯისა, პორტნიაგინი გამოგვიგზავნიდა გზირებს, დაგვიბარებდა შინ და გვცემდა. ხანდისხან დაგვიბარებდა, მაგრამ არ მივდიოდით, რადგან გვეშინოდა, ბრუნდს და მართალს ყველას ერთად გვცემდა. მიუსვლელობისათვის გვიგდებდა როდისმე ხელში და ვის 20 მანეთს გვართმევდა და ვის 30 მ. ს. ვანქის ერთი მცხოვრები შიშით სადღაც გადავარდა. ბოდბისხეველი გლეხი გოგია ოთარაშვილი დააბეზღეს, რომ თვითონაც მოღალატეა და მისი ნათესავებიცაო. ამ მიზეზის გამო დაიჭირეს და 180 მანეთი ფული წაართვეს. ლაზარე ხუნუაშვილი დაიჭირეს, 70 მ. წაართვეს, აბრამა ძმანიშვილს 70 მ., ნადარაშვილს 80 მანეთი, დათია ბაგაშვილს 80 მან. და ბევრს კიდე სხვებსაც. როდესაც ჯარის კაცების გამოსაყვანად მოგვმართავდნენ, თუ პატარა დაგვიგვიანდებოდა, ხარებს გამოუშვებდნენ და მათ მაგიერ ჩვენ ქალებს შეაბამდნენ უღელში. ერთის სიტყვით ვაჭმევდით, თუ ვასმევდით, პატივს ვცემდით თუ არა ყოველთვის და ყველაფრისთვის გვიჭერდნენ და გვცემდნენ დაუზოგველად. თუ ვინმე გაჰბედავდა და სასამართლოში წასვლას დააპირებდა, სასამართლოს კარი ჩვენთვის, პორტნიაგინის განკარგულებით, ყოველთვის დაკეტილი იყო. სამართლის მოცემის მაგიერ, ამის შემდეგ უფრო მეტს ტანჯვა-წვალებას გვაყენებდნენ. ერთ-ს სიტყვით ენა ვერ გამოსთქვამს ყოველს ჩვენს გაჭირვებას; ველარ მოვითმინეთ და ჩვენი მწუხარება გავამჟღავნეთ. აჯანყება თიონეთიდგან დაიწყო. ჩვენ შევშინდით ჩვენც აგვაოხრებენო და ამის გამო ჩვენც შევუერთდით აჯანყებულთ *)...

თეოფილე ხუსკივაძე.

(შემდეგი იქნება)

---

*) წერილი არქიეპისკოპოზის სტეფანესი პაულიჩთან. 20 მარტს 1812 წ.

*) აქტები ტ. V გვ. 62.

რეო. რომანოვსკიმ ამის პასუხად ცოლი და ლესკოვის ქალი წაიყვანა მამა ი. კრონშტადტელთან და რჩევა სთხოვა. ი. კრიანდშტატელმა ურჩია ბრალდებულს, თავი დაენებებია ლესკოვის ქალისათვის, მაგრამ რომანოვსკიმ ეს არ გაიგონა, რადგან ამ საქციელს რომანოვსრკ ლესკოვის ქალის დაღუპვად და გარყვნილების გზაზედ დაყენებად სთვლიდა. ამის შემდეგ ბრალდებულის ცოლი პეტერბურგიდან წავიდა თავის მამასთან, საიდგანაც ჩქარა დაბრუნდა და კიდევ მოსთხოვა ქმრას, კავშირი გაეწყვიტა ლესკოვის ქალთან. თან ემუქრებოდა, თავს მოვიკლავო. ლესკოვის ქალიც თავის მოკვლას იქადებოდა, თუ ბრალდებული თავს დაანებებდა. რომანოვსკიმ თავი დაანება პეტერბურგში თავის ცოლს, რომელმაც ამის შემდეგ სამსახური იშოვა. რომანოვსკიმ ლესკოვის ქალი თან წაიყვანა. მალე ტფილისისაკენ გამოემგზავრა. ტფილისიდგან რომანოვსკი ერევანში წავიდა და დანიშნულ იქმნა ნახიჩევანის მომრიგებელ შუაკაცად. პეტერბურგში ბრალდებული სულ ლოთობაში ატარებდა დროს, ნახიჩევანში-კი სმას სრულიად თავი დაანება. რომანოვსკი და ლესკოვის ქალი მეგობრულად სცხოვრობდნენ, მხოლოდ პირველს ის აწუხებდა, რომ უკანონოდ იყო შეუღლებული. რომაიოვსკი რევოლვერს ატარებდა თან, რომ, როგორც ამბობდა, მოეჰკლა ის, ვინც ლესკოვის ქალს შეურაცხყოფას მიაყენებდა, წინად-კი რომანოვსკის არამც თუ არ ჰქონდა რევოლვერი,—სროლაც-კი არ იცოდა. რევოლვერის ხმარებას ქალსაც ასწავლიდა რომანოვსკი. ამას გარდა, ქალს სროლას ასწავლიდა პოლიც. ბოქაული სულინი.

14 სეკდემბერს, 1900 წ., უბედურობის დღეს, როგორც რომანოვსკიმ სთქვა, ბრალდებულმა ქისა გახსნა და ფულს აჩვენებდა ლესკოვის ქალს, ამ დროს ქისიდგან გადმოვარდა ბრალდებულის ცოლის სურათი, რის დანახვაზე ლესკოვის ქალმა დაიძახა: „ჰო, ასე ძვირფასია შენთვის შენი ცოლი!“ ამ გარემოებამ და კიდევ იმან, რომ ამ დღეს სარეცხს დიდხანს აუთოვებდა, რის გამოც ნახშირის სუნით დაიბნიდა, აიძულა, ბრალდებულის აზრით, ლესკოვის ქალი, თავი მოეკლა. იმ ღამეს ლესკოვის ქალზე შეეძლო ემოქმედნა იმ გარემოებასაც, რომ რომანოვსკი სახლში ბოქაულ შუმოვის სახლიდგან მთვრალი დაბრუნდა. მოკლულს ქალს ჭრილობა აღმოაჩნდა გულში. გვამი გასჭრა ექიმმა ბადრიძემ და სთქვა: რევოლვერი გულზედ ჰქონია მიდებული, როცა გავარდნილაო. ამასთანავე დასძინა, ჩემის აზრით, თვითონ მოუკლავს თავიო. ურაზოვმა და ბადრიძემ სასამართლოში განაცხადეს: თავი თვითონ მოუკლავსო, ხოლო ექიმებმა კრაევსკიმ, ბეკ-იუსუპოვმა და პოდპ. ბრონევსკიმ განაცხადეს: შორიდგან არის ნასროლი რევოლვერიო.

მოწმების ჩვენებით, ამ საღამოს რომანოვსკი ბოქაულ შუმოვთან იყო სტუმრად, საიდანაც მთვრალი დაბრუნდა. ბრალდებულის მზარეულმა არუთინ მარქაროვმა განაცხადა: სამზარეულოში გავიგონე რევოლვერის ხმა და მაშინვე ოთახში გაველი, სადაც მისვენებული ლესკოვის ქალი ეჭირა მოსამსახურე ქალს ხოპროვისასო. მოწმემ უთხრა რომანოვსკის: „რისთვის მოჰკალი, ბატონო, ქალბატონიო“ და გაიქცა პოლიციაში. ნახიჩევანის მაზრის უფროსმა განაცხადა, საღამოს 8 საათზე მთან მარქაროვი მოიჭრა და მითხრა: „ბატონმა ქალბატონი მოჰკლაო“, ხოლო, ხუთის ამის შემდეგ, ჩემთან გამოცხადდა თვით რომანოვსკი, რომელიც აღელვებულ მდგომარეობაში იყო და თითქოს რაღაც უნდოდა მოეგონა, მაგრამ ვერ იგონებდა... მაზრის უფროსმა ენკელმა ჰკითხა რომანოვსკის, არ უნდა ლესკოვის ქალს მკურნალის დახმარებაო, რომანოვსკიმ უპასუხა: „არა, მოკლულია“. მაზრის უფროსთან ამ დროს მივიდა მაზრის უფროსის თანაშემწე მურავიოვიოვი, რომლის მოსვლის შემდეგაც რომანოვსკიმ თავდაჭერით განაცხადა: „ქალმა რევოლვეყწით მოიკლა თავიო“. როგორც მურავიოვს, აგრეთვე ენკელს, არა ბუნებრივად ეჩვენათ ბრალდებულის საქციელი და უთხრეს: შენი სახლი უნდა დავათვალიეროთო, რის შემდეგაც რომანოვსკი გაიქცა და ძლივს, ნახევარ ვერსის მანძილის გავლის შემდეგ, დაიჭირა მურავიოვმა. როდესაც ენკელი და მურავიოვი მივიდნენ სახლში, რომანოვსკიმ თითი მიიშვირა ლესკოვის ქალზე და სთქვა: „აი, ან მე მოვკალი, ან თვითონ მოიკლა თავიო“. სამის დღის შემდეგ რომანოვსკიმ განაცხადა: „მე არ მახსოვს, მე მოვკალი თუ არა. მე მთვრალი ვიყავი“.

ჩვენება ჩამოართვეს აგრეთვე მოსამსახურე ქალს ხოპროვისას. მისის ჩვენებით, დილით რომანოვსკის და ლესკოვის ქალს ლაპარაკი მოუვიდათ. საღამოთი რომანოვსკი შუმოვისაგან მთვრალი დაბრუნდა. კარგად მესმოდა მათი ხმა-მაღალი ლაპარაკიო. შემდეგ რომანოვსკი სასადილო ოთახში დაჯდა, ჩაი მოითხოვა და ალერსი დაუწყო ქალიშვილს თამარას, ლესკოვის ქალი-კი ბრალდებულს ლანძღავდა, მთვრალი რად მოხველ, გადი საწოლ ოთახში და იქ მოგიტან ჩაისაო. შემდეგ ლესკოვის ქალი გავიდა საწოლ ოთახში, გამოიტანა რევოლვერი, დაუჭირა სახელო რომანოვსკის და უთხრა: „მაგრე მთვრალის ყურებას ისა სჯობიან, მოგკლაო“. შემდეგ ლესკოვის ქალმა გაიტანა ისევ რევოლვერი და ფანჯარაზე დასდო, მერე სარკის უკან შეინახა. შემდეგ ლესკოვის ქალმა სიარული დაიწყო ოთახებში, მერე მიბრუნდა კედლისაკენ დერეფანში და ამ დროს მოისმა ხმა რევოლვერისა, რის შემდეგ ყვირილით მობრუნდა ლესკოვის ქალი და მომეხვია მისკენ მიმავალსაო. მე სასადილო ოთახში გავიყვანე აქ მალე განუტევა სული ლესკოვის ქალმა. ამ დროს შემოვარდა მზარეული, რომელსაც ვუთხარი: „ქალბატონმა თავი მოიკლა“. მარქაროვმა, ალბად, ვერ გაიგონა ჩემი სიტყვები და გაექანა პოლიციაში. რევოლვერის გასროლის დროს რომანოვსკი სასადილო ოთახში იყო. მე რამდენჯერმე უთხარი: „ქალბატონმა თავი მოიკლა“; რომანოვსკიმ მიპასუხა: „სისულელეს ამბობ“. შემდეგ მიუახლოვდა რომანოვსკი ქალბატონს და მე მითხრა: „ულიანა, რატომ არ გაუფრთხილდი ქალბატონს? თავი მოიკლა!“

თავისი ჩვენება ხოპროვის ქალმა რამდენჯერმე შესცვალა.

ჩვენება ჩამოართვეს აგრეთვე პოლ. ბოქაულს სულინს. მისის ჩვენებით, როდესაც სახლში მივედით, რომანოვსკიმ ისე გაიარა ლესკოვის ქალის ახლო, თითქოს ძაღლის გახრწნილი ლეში გდებულიყოს იმ ადგილას.. საზოგადოდ, ცოლქმრული ალერსი ლესკოვის ქალსა და რომანოვსკის შორის არ იყო. ერთხელ ლესკოვის ქალმა ვახშმად ის საჭმელი არ მოიტანა, რომელიც ბრალდებულს უნდოდა და ამაზე რომანოვსკიმ უთხრა: „ამის გულისათვის ცხვირში სცემენ ხოლმე ადამიანს“. შემდეგ დაუმატა: „კი არ სცემენ, ჰკლავენ ხოლმე, შენ იცი, რომ მე ესეც შემიძლიან“. ამაზედ შელაპარაკდნენ, მაგრამ როგორც იყო, დავაშოშმინე. საზოგადოდ რომანოვსკი სრულებით არ მერიდებოდა.

საქმიდგან სჩანს, რომ განსვენებულ ლესკოვის ქალს დღიური ჰქონია და შიგ თვისნი შთაბეჭდილებანი უწერია. ყველგან იმასა სწერს, რომ თანამგრძნობი არა მყავს, ღმერთმა არ მომცა ის ბედნიერება, რომ ვყოფილიყავ დედა ან ცოლიო. განა შესაძლებელია შეიყვაროს ადამიანმა ის კაცი, რომელიც ერთხელ მაინც გინახავს მთვრალი, უგრძნობლად მთვრალი, პირუტყვივით, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ადამიანობას?!

როგორც დღიურიდგან სჩანს, ქალი მოღალულა მეტის ტანჯვით. იმას უნდოდა მყუდროება, მარტოობა და ვერ ჰპოებდა ამას. ერთ ადგილს ასე ამბობს? „ოჰ, თავისუფლებავ და მარტოობავ, რა კარგი რამა ხარ!“ ერთ ადგილას ღმერთსა სთხოვს, ჩემი სული მიიბარე, მომასვენე ამდენ ტანჯვასაო. შაბათს, 7 დეკემბერს, საქმის გარემოების წაკითხვა გათავდა, საქმის გარჩევა გადაიდო კვირისათვის.

(დასასრული იქნება)

—

კვირას, 8 დეკემბერს, ნაშუადღევის $4\frac{1}{5}$ საათზე სამოსამართლო პალატამ გამოიტანა თავისი განაჩენი, რომლითაც გაუქმებულ იქმნა ოლქის სასამართლოს დადგენილება და ნიკ. იპ. რომანოვსკი სრულიად გამართლდა.

—

დღეს, 10 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად საქმე კომერსანტ ერვიეს მოკვლისა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

7 დეკემბერი.

ბელგრადი. გაზეთები იუწყებიან, გრაფი ლამსდორფი 11 დეკემბერს ბელგრადს მოვა და აქედგან სოფიას წავაო.

მადრიდი. ემბერების სახლობა დაატუსაღეს.

პორტ-ოფ-სპეინი. გამოაცხადეს, ვენეცუელა ზღვის მხრით შეიკრაო.

ლონდონი. რომში მყოფი ინგლისის ელჩი კერი ავადმყოფობის გამო სამსახურიდან გადადგა.

ლონდონი. ტოკიოში მთავრობამ კანონპროექტი შეიმუშავა, რომ ჩინეთ-იაპონიის ბანკი დაარსდეს იმ საქმეთა დასაჩქარებლად, რომელიც იაპონელთ ჩინეთში აქვთ დაწყებული.

კიევი. პალესტინის საიმპერატორო საზოგადოების განყოფილება გაიხსნა კიევში.

ერევანი. გუმბრ-ერევნის გზაზედ მოძრაობა გაიხსნა.

რიაზანი. ეგორიევსკის სამაზრო კრების შუამდგომლობა იმის თაობაზედ, რომ სკოლებში კურს დამთავრებული გლეხკაცები როზგისაგან განთავისუფლებულ იქმნენ, საგუბერნიო კრებამ სამაზრო ერობებს გადასცა განსახილველად.

პეტერბურგი. ჰერცოგმა მიხეილ გიორგის ძემ მეკლენბურგ-სტრელიცკიმ გლინკის ძეგლის დასადგმელ ფონდს 500 მანეთი შესწირა.

8 დეკემბერი

პეტერბურგი. საშინაო საქმეთა მინისტრმა დაადგინა, ხელახლად ნება დაერთოს ბეჭდოს კერძო განცხადებანი გაზეთს «ბესსარაბეც»-ში და ახლად ნება მიეცეს „ოდესის ნოვოსტი“-ს ნომრობით გაყიდვისა.

საგარეო საქმეთა მინისტრის გრაფის ლამზრდორფის საზღვარაგარეთ წაბრსანების გამო, სამინისტროს ხელმძღვანელობა მიენდო თავადს ობოლენსკი-ნელედინსკი-მელეცკის.

ვილნო. ფსიხიატრიული საავადმყოფო ვილნოს სადგურის ახლოს 1000 ავადმყოფისათვის დაჯდა 1,500,000 მან.

ლონდონი. პრინცესა უელსისას ეყოლა ვაჟი.

რუანი. შეაპყრეს პარეირი.

იალტა. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა უავგუსტოეს შვილებით ლივადიიდგან გემს “შტანდარტზე“ გადავიდნენ და 8 დეკემბერს დილით წაბრძანდებიან სევასტოპოლს.

პორტ-არტური. ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღის აღსანიშნავად გამართულს პარადს დაესწრო სამხრეთ მანჯურიის მმართველი ცზენ-ცზი ამალით. წარმოითქვა სადღეგრძელოები ხელმწიფე იმპერატორის, ხელმწიფე იმპერატრიცის, ხელმწიფე მემკვიდრისა. წაკითხულ იქმნა უმოწყალესი დეპეშა ხელმწიფე იმპერატორისა,—პასუხად მილოცვისა ჯარისა, ფლოტისა და ოლქის მცხოვრებთა, დეპეშა აღტაცებით და ურას ძახილით მიიღეს. მუკდენის ცზიან-ცზუნმა წარმოსთქვა სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა და გამოსთქვა, რომ რუსის იმპერატორსა და ჩინეთის ბოღდიხანს შორის მეგობრობის დამყარება ფრიად ხელსაყრელია ორთავე სახელმწიფოსთვის. გენერალ ადიუტანტმა ალექსეევმა წარმოსთქვა სადღეგრძელო ბოღდიხანისა და ქვრივის დედოფლისა. ორკესტრმა შეასრულა ჩინური ჰიმნი.

მოსკოვი. ღარიბ სტუდენტთათვის უნივერსიტეტში შესატანად ვაჭართა კლუბმა გადასდო 5,000 მანეთი და ბაზანოვმა 2,000 მანეთი.

სტოკჰოლმი. სამეცნიერო აკადემიამ საპატიო წევრად აირჩია დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

სოფია. ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღის გამო, მთავარმა საპარადო სადილზე, სასახლეში წარმოსთქვა სადღეგძელო ხელმწიფე იმპერატორისა. ბახმეტევმა სამაგიერო სადღეგძელო წარმოსთქვა მთავრისა და მის სახლობისა,

ვენა. პიტრეიხი დაინიშნა სამხედრო მინისტრად.

ბერლინი. გამოცხადებულია, რომ ლაგუარის და სუდანის ნავთსაყუდარის ინგლისელების მიერ ბლოკადა 7 დეკემბერს მოხდებაო. ვენეცუელის ნავთსადგურის პუერტასა და კაბელლოს ბლოკადა გერმანიამ უკვე დაიწყოო.

მადრიდი. ემბერ-ორინიაკეს ოჯახობის საქმე საფრანგეთის ელჩს გარდაეცა.

ბერლინი. Norddeutsche-Zeitung“-ი ირწმუნება, რომ გერმანია და ინგლისი თანახმაა სამედიატორო სამართლის და რუზველტი მოსამართლეთ დანიშნონო.

პარიჟი. დაჭერის დროს ემბერმა განაცხადა, რომ მისი ოჯახობა დაბეზღების მსხვერპლია. ნახეს ბევრი ძვირფასი თვალ-მარგალიტი, მაგრამ ცოტა ფული. ამბობენ, რომ ემბერმა საჭირო ქაღალდები დამალესი.

ბუდაპეშტი. სეიმმა განაცხადა, რომ ღვინოზე გარდასახადი 18 დეკემბრიდგან მოისპობაო.

პეტერბურგის ბირჟა, 3 დეკემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	$37{,}37\frac{1}{2}$
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	—
ბირჟის დისკონტი	$5-6\frac{1}{2}\%$
4% სახელმწიფო რენტა	$97\frac{3}{8}$ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$99\frac{1}{2}$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა .	$94\frac{1}{2}$ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	485 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$374\frac{1}{2}$ გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	307 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4\frac{1}{2}\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	—
$4\frac{1}{2}\%$ გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, " " "	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	204 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) სალ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. ჳ5 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

განცხადება

ცეცხლისაგან დაზარალებულ ცხინვალელთა სასარგებლოდ შემოწირულების შემკრები კომიტეტი აცხადებს:

რადგანაც კომიტეტს არ შეუძლია დააკმაყოფილოს დაზარალებულნი, რომელთა გაჭირვება ზამთრის დადგომის გამო დღითიდღე ძლიერდება, აზრადა აქვს 19 იანვარს 1903 წელს გამართოს ტფილისში საქველმოქმედო **ამერიკული ბაზარი საკონცერტო განყოფილებით.** ვისაც ჰსურს ფულად ან ნივთებით დახმარება, კეთილ ინებონ და შეწირულებანი გაჰგზავნონ ამ ადრესით:

საღამოს გამმართველს კნ. მ. მ. თუმანოვისას (ბარიატინსკის ქუჩა, № 8), კომიტეტის წევრს ი. შტრეიხმს (გოლოვ. პროსპ. დობრჟანსკის სახ.) „ნოვოე ობოზ.“-ს რედაქციას (ბარიანთინსკი ქ.) და «ტფილ. ლისტ.»-ს რედაქც. (გოლ. პროს. № 3).

(3—მ.—3)

ამერიკულ ვაზის

აფხანაურის სანერგე მიხრან ალექსანდრეს ძის ანანოვისა

(რკინის გზის რიონის სადგურის მახლობლად).

იყიდება ამერიკულ ვაზზედ ერთის წლის დამყნილი ადგილობრივ და ფრანგულ ჯიშის ვაზები, 1000 ცალი 100 მან.

ამერიკულ ვაზის რქა დასამყნობად:

Rupestris Monticola 1000 მეტრი .	15 მ.
Riparia gloire de Montpellier . .	10 „
Berlandieri კირნარევ ნიადაგისათვის.	3? „

ამერიკული რქა დასარგავად:

Rupestris Monticola 1000 მეტრი .	5 „
Riparia gloire de Montpellier . .	3 »
Berlandieri	15 „

მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს ნერგები მომავალ 1903—904 წლ. სეზონისათვის.

ადრესი: Ст. Ріонъ, Михрану Ананову.

(10—471—2)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

სწერა-კითხვის საზოგადოების წიგნი მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, ექნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა .	1	„
გლეხობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი . :	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ზ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა . .	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი .	„	50
ნამუენი ვაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა . .	„	15
კონსტანტინე ბარონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით . . .	1	„
პაწია და ბუნგლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა . . .	„	30
„შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილისა .	„	40
Царица Тамара, მისივე . .	„	50
И. Алхазова . . .	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н Марра . . .	3	„

Открыта на 1903-й годъ подписка
НА ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ“

съ безплатнымъ приложеніемъ

„Вѣстника Горнаго дѣла и орошенія на Кавказѣ“

На 1903-й годъ въ портфелѣ редакціи имѣется много цѣнныхъ трудовъ авторовъ, какъ принимавшихъ участіе въ газетѣ ранѣе, такъ и новыхъ, и въ томъ числѣ столичныхъ.

По прежнему, время отъ времени будутъ выходить иллюстрированныя литературныя приложенія къ газетѣ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА въ Тифлисѣ: на 12 мѣс.—10 рул., на 11 мѣс.—9 р. 50 к., на 10 мѣс.—9 руб., на 9 мѣс.—8 р. 50 к., на 8 мѣс.—7 р. 75 к., на 7 мѣс.—7 р., на 6 мѣс.—6 р., на 5 мѣс.—5 р., на 4 мѣс.—4 р., на 3 мѣс.—3 р., на 2 мѣс.—2 р., на 1 мѣс.—1 р.; иногороднымъ: на 12 мѣс.—11 р. 50 к., на 11 мѣс.—10 р. 75 к., нъ 10 мѣс.—9 р. 75 к., на 9 мѣс.—9 р., на 8 мѣс.—8 р. 25 к., на 7 мѣс.—7 р. 25 к., на 6 мѣс.—6 р. 50 к., на 5 мѣс.—5 р. 50 к., на 4 мѣс.—4 р. 50 к., на 3 мѣс.—3 р. 25 к., на 2 мѣс.—2 р. 25 к., на 1 мѣс. 1 р. 25 к.; заграницу. на 12 мѣс.—17 р.. на 11 мѣс.—16 р., на 10 мѣс.—15 р., на 9 мѣс.—13 р. 50 к., на 8 мѣс.—12 р., на 7 мѣс.—10 р. 50 к., на 6 мѣс. 9 р., на 5 мѣс.—7 р. 50 к., на 4 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—4 р. 50 к., на 2 мѣс.—3 р., на 1 мѣс.—1 р. 75 к. ОБЪЯВЛЕНІЯ: съ мѣстн. объявл. (кавказскихъ) за строку петита или занимаемое ею мѣсто на I-й стр.—16 к., и на 4-й стр.—8 к. **Многократныя объявленія со значительною скидкою.**

Подписка и пріемъ объявленій въ конторѣ газ. „Кавказъ“ (Тифлисъ, Эриван. пл., д. Харазовой). Объявленія отъ лицъ, фирмъ и учрежденій за границей, Петербурга, Москвы, Царства Польскаго и прибалтійскихъ губ. принимаются въ конторѣ объявленій А. и Э. Метцль и К-о въ Москвѣ и Петербургѣ—по 10 к., на 1-й стр. вдвое.

Плата за объявленія въ «Вѣстникѣ горнаго дѣла и орошенія на Кавказѣ» за строку петита (50 буквъ) 15 к., за цѣлую страницу 20 руб. Многократныя объявленія по соглашенію. Отдѣльные №№ по 15 коп.

(5—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 декабря 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაზიშვილი.